ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2019 წლის 5 დეკემბრის სხდომის

ოქმი № 8

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან – 20.

დღის წესრიგი:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2020 წლის ანკეტა – კითხვარის დამტკიცება
   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. "კულტურისა და მედიის სოციოლოგიის "სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების რეაკრედიტაციის შესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე
3. ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2020 წლის ანკეტა – კითხვარის პროექტი დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს : გ. გოგსაძემ, ნ. ჭალაგანიძემ, ზ. დავითაშვილმა და სხვ.

ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ სთხოვა, გაეგზავნოს მიმართვა საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედ კონფერენციას, რათა ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ მესამე სავალდებულო საგნად, მათემატიკასა და ისტორიასთან ერთად, განისაზღვროს გეოგრაფიაც.

დაადგინეს: მიღებულ იქნას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2020 წლის ანკეტა – კითხვარი წარმოდგენილი ფორმით და დასამტკიცებლად გაეგზავნოს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს;

ასევე, მომზადდეს წერილი ფაკულტეტის საბჭოს სახელით, ეროვნულ გამოცდებზე მესამე სავალდებულო გამოცდის საგნების ჩამონათვალს დაემატოს გეოგრაფია.

მოისმინეს: 2. “კულტურისა და მედიის სოციოლოგიის“ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების რეაკრედიტაციის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რევაზ ჯორბენაძემ. მან დამსწრეთ გააცნო პროგრამების ხელმძღვანელთა მოსაზრება, რომ სამაგისტრო პროგრამის რეაკრედიტაცია არ მიაჩნიათ მართებულად, მცირე კონტინგენტის გამო, სადოქტორო პროგრამას კი წარადგენენ, ვინაიდან ჰყავთ აქტიური დოქტორანტები.

აზრი გამოთქვეს : ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაადგინეს: დაიწყოს მზადება “კულტურისა და მედიის სოციოლოგიის” სადოქტორო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის.

მოისმინეს: 3. ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ.

მან თქვა, რომ 2020 წელს ფაკულტეტის ბიუჯეტი გაიზრდება და აკადემიური პერსონალის სახელფასო მუხლში 2019 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ თანხას, 2020 წლის მარტიდან დაემატება 125 000 ლარი; სხვა მუხლებით ბიუჯეტის ზრდა გათვალისწინებულია 30 ათასი ლარით. თ. დოლბაიამ დამსწრეთ წარუდგინა ხელფასის მომატების რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის ერთჯერადი დანამატის სახით, პროფესორის პედაგოგიური, სამეცნიერო და სერვისული აქტივობების, ასქულიანი სისტემით შეფასებისას მიღებული ქულების მიხედვით.

აზრი გამოთქვეს : ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, მ. მაცაბერიძემ, მ. წერეთელმა და სხვ.

დაადგინეს:

1. მიღებულ იქნას ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს;

2. დანამატი, ყოველთვიური ხელფასის სახით, თანაბრად გადანაწილდეს ფაკულტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე : თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის მდივანი: ს. დუნდუა, ასოცირებული პროფესორი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

ფაკულტეტის დეკანი

1. თამარ დოლბაია

სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

2. იაგო კაჭკაჭიშვილი
3. ამირან ბერძენიშვილი
4. ნინო დურგლიშვილი
5. თამარ მახარაძე

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

6. ზურაბ დავითაშვილი
7. ფიქრია ასანიშვილი
8. თორნიკე თურმანიძე

პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. სალომე დუნდუა
12. ზვიად აბაშიძე

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის მიმართულება

13. ნინო ჭალაგანიძე
14. ხათუნა მაისაშვილი
15. მარი წერეთელი
16. მანანა შამილიშვილი
17. ნანა ტალახაძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

18. ნინო პავლიაშვილი
19. გიორგი გოგსაძე

20. ვაჟა ლორთქიფანიძე
21. ვალერიან მელიქიძე

ინტერდისციპლინური მიმართულება

22. რევაზ ჯორბენაძე
23. ნოდარ ბელქანია
24. ზურაბ აბაშიძე
25. თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

26. მარიამ ბერიანიძე
27. ალექსანდრე გაბაშვილი
28. გიორგი გოგოლაძე
29. ნინო გოლიაძე
30. თორნიკე კობახიძე
31. შალვა ლაშხია
32. ანი სარალიძე
33. რატი ხითარიძე
34. ელენე ბებერაშვილი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესავსები სპეციალური ანკეტა-კითხვარის ფორმა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის (გარდა დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, საექთნო საქმის, სამეანო საქმის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ოკუპაციური თერაპიის, ფარმაციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ქართულ ენაში მომზადების, სახელოვნებო-შემოქმედებითი, სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა)	დანართი №1
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი:	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება:	0128, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზირი 1
ფაქტიური მისამართი და ტელეფონი	www.tsu.ge
ვებგვერდი	chancellery@tsu.ge.
ელ.ფოსტა	
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	
ინფორმაცია წლიური გადასახადის შესაძლო ცვლილების შესახებ	

პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	აკრედიტებულია თუ არა	აკრედიტაციის ვადა	დაფინანსება	სწავლების ენა	კრედიტების რაოდ.	წლიური გადასახადი	ადგილების რაოდ.	ქართ. ენა და ლიტ. (1)	უცხოური ენა (2)	მათემატიკა (3)	ისტორია (4)	ზოგადი უნარები (5)	გეოგრაფია (6)	ლიტერატურა (7)	ფიზიკა (8)	ქიმია (9)	ბიოლოგია (10)	სამოქალაქო განათლება (11)	სახ. და გამოყ. ხელოვნება (12)	პრიორიტეტები
1.საზოგადოებრივი გეოგრაფია 2.სოციოლოგია 3.სოციალური მუშაობა 4.პოლიტიკის მეცნიერება	1. სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი საზოგადოებრივ გეოგრაფიაში. 2. სოციოლოგიის ბაკალავრი 3. სოციალური მუშაობის ბაკალავრი 4. პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი.	აკრედიტირებული	2021 წლამდე	ფინანსდება	ქართული	240	2250	455	5	5		2									1-2-4
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით																
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							455									
					შენიშვნა				მიუხედავად იმისა,თუ რომელ ევროპულ ენას აბარებს აბიტურიენტი (ინგლისური,გერმანული, ფრანგული და რუსული) ყველა სტუდენტს უწევს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.												
საერთაშორისო ურთიერთობები	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	აკრედიტირებული	2021 წლამდე	ფინანსდება	ქართული	240	2250	70	3	4	2	2	3	3							2-1-4/3-5/6
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით						10										
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							60	20	40							
					შენიშვნა				მიუხედავად იმისა,თუ რომელ ევროპულ ენას აბარებს აბიტურიენტი (ინგლისური,გერმანული, ფრანგული და რუსული) ყველა სტუდენტს უწევს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.												

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	ალურ მეცნიერებათა ბაკალ	აკრედიტირებული	2021 წლამდე	ფინანსდება	ქართული	240	2250	100	4	4		4									1-2-4
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით																
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							100									
					შენიშვნა				მიუხედავად იმისა,თუ რომელ ევროპულ ენას აბარებს აბიტურიენტი (ინგლისური,გერმანული, ფრანგული და რუსული) ყველა სტუდენტს უწევს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.												
ჟურნალისტიკა და მასიური კომუნიკაცია(ქართული-რუსულენოვანი კომპონენტებით)	ალურ მეცნიერებათა ბაკალ	აკრედიტირებული	2023 წლამდე	ფინანსდება	ქართული	240	2250	15	4	4		4									1-2-4
					კოეფიციენტები																
					ადგილების კვოტა მათემატიკის მიხედვით																
					ადგილების კვოტა ისტორიის მიხედვით							15									
					შენიშვნა				მიუხედავად იმისა,თუ რომელ ევროპულ ენას აბარებს აბიტურიენტი (ინგლისური,გერმანული, ფრანგული და რუსული) ყველა სტუდენტს უწევს ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება.												

შენიშვნა: შენიშვნის გრაფაში მიეთითება თუ რაიმე დამატებითი მოთხოვნაა პროგრამაზე, მაგ.: უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება, აუცილებელია ტურის ჩაბარება (მაგ. არქიტექტურის პროგრამაზე), სამედიცინო შემოწმების გავლა და სხვ.

ანკეტის შევსების თარიღი

რექტორი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ პროგრამებზე მინიმალური კომპეტენციის გაზრდის თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენის ფორმა

დანართი №5

დებულების თანახმად განსაზღვრული საგნებისათვის (იმისათვის, რომ აბიტურიენტმა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მან სწორედ უნდა უპასუხოს დავალებათა საერთო რაოდენობის მითითებულ პროცენტს დამატებული ერთი). შესაძლებელია (სურვილისამებრ) მინიმალური ზღვრის გაზრდა ნებისმიერი საგნისათვის. ასეთ შემთხვევაში ქვემოთჩამოთვლილ საგნებს უნდა მიეწეროს ზღვრის ახალი მნიშვნელობა პროგრამების მიხედვით.

პროგრამის დასახელება	ქართ. ენა და ლიტ.	უცხოური ენა	მათემატიკა	ისტორია	ზოგადი უნარები	გეოგრაფია	ლიტერატურა	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	საბოქლაქო განათლება	სახ. და გამოყ. ხელოვნება
	41	51	41	41	41	41						

ანკეტის შევსების თარიღი

რექტორი

ბ.ა.

საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის თავმჯდომარეს,

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორს

გიორგი შარვაშიძეს

ამავე უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანის

თამარ დოლბაიას

მ ი მ ა რ თ ვ ა

ბატონო გიორგი,

მოგეხსენებათ, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო საფეხურზე მისაღები ერთიანი ეროვნული გამოცდების მესამე სავალდებულო საგნად განსაზღვრულია ისტორია. ამავე დროს, ალტერნატივის სახით მესამე საგნად მათემატიკისა და ისტორიის არჩევა სრულად ვერ ითვალისწინებს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სპეციფიკას. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მესამე სავალდებულო საგნის ალტერნატიულ ვერსიად მოიაზრებოდეს აგრეთვე გეოგრაფია. ამ საგნის დამატება გამართლებულია იმ ფაქტითაც, რომ ფაკულტეტის ხუთი მიმართულებიდან ერთ-ერთს სწორედ საზოგადოებრივი გეოგრაფია წარმოადგენს.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო მოგმართავთ თხოვნით (ოქმი №8, 5 დეკემბერი, 2019), მხედველობაში მიიღოთ ზემოაღნიშნული არგუმენტი და დააყენოთ საკითხი გეოგრაფიის ერთიანი ეროვნული გამოცდების მესამე სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში დამატების შესახებ.

პატივისცემით,

თამარ დოლბაია

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი,

ასოცირებული პროფესორი